


შპს საზოგადოებრივი კოლეჯი მომავალი

შრომის ბაზრის ანალიზის შედეგები



შრომის ბაზრის სტატისტიკური ანალიზი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დადებულ საქართველოს შრომის ბაზრის სტატისტიკურ ანალიზში საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობს და მომავლის ტენდენციების შეფასებით შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი დასკვნები:

- წინ წამოიწევეს ისეთი დარგები, როგორებიცაა: საფინანსო მომსახურება, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ტურიზმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია საფინანსო შუამავლობა.
- განსაკუთრებული შესაძლებლობა იკვეთება ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც უმუშევრობის მაჩვენებელში მაღალი წილი უჭირავთ. ისეთი სამუშაო ადგილები, როგორიცაა სასტუმროების მომსახურე პერსონალი, ქოლ ცენტრის თანამშრომლები, მიმტანები, მზარეული, სარეკლამოაგენტი, დაცვის თანამშრომელი, კურიერი და IT სპეციალისტი მაღალი მოთხოვნით ხასიათდება.
- იქნება მაღალკვალიფიციური კადრების საჭიროება ენერჯეტიკის სფეროში, გადამამუშავებელ მრეწველობაში, სატრანსპორტო ქსელის მშენებლობაში, მათ შორის მოთხოვნა იქნება ინჟინრებსა და არქიტექტორებზე.

- რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ძირითადად მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ აგრონომებსა და ვეტერინარებზე გვესახება.

ამ მონაცემების გადასამოწმებლად და საბაზრო მოთხოვნების მეტად შესასწავლად განხილული იქნა 2300 ვაკანსია, რომელიც 1 თვის ინტერვალით იდებოდა შესაბამის საიტებზე. ასევე გადამოწმდა, თუ რამდენად შეესაბამება საბაზრო მოთხოვნებს ჩვენს მიერ გადამზადებული კადრი და იქნება თუ არა კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლება უმაღლეს განათლებასთან.

ვაკანსიების პროფესიების მიხედვით განაწილება შემდეგი სახით გამოიყურება:

- გაყიდვების სფერო და საფინანსო სერვისები- 31%; (725 ვაკანსია. 600-მოლარე-კონსულტანტი, 149- საფინანსო საქმე)
- საოფისე საქმე - 8,3% (193 ვაკანსია)
- სარეკლამო აგენტი - 4% (87 ვაკანსია)
- ბუღალტერი - 4% (106 ვაკანსია)

აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, ნათლად ჩანს, რომ ბაზრის 48% ზემოთ ჩამოთვლილი პროფესიების ვაკანსიებზე ნაწილდება.

პროფესიული განათლებით განვითარებულ უნარ-ჩვევებს **გაყიდვების სფეროსა და საფინანსო სერვისებში** არსებული ვაკანსიების 12,4% აკმაყოფილებს.სადაც მეტი წილი მოლარე-კონსულტანის ვაკანსიებს უჭირავს.

ძირითადი მოთხოვნები:

პროდუქციის შეთავაზება, პროდუქციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, პროდუქციის გახსნა, აწყობა, შემოწმება, მომხმარებლისთვის დახმარების გაწევა და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, არსებული პროდუქციის ასორტიმენტის საფუძვლიანი შესწავლა, სალაროს ოპერაციების წარმოება, სალარო აპარატთან მუშაობა, სალაროში არსებული თანხის დათვლა და აღრიცხვა, ნაშთების რაოდენობის კონტროლი და საწყობში არსებული პროდუქციის აღრიცხვა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

პროფესიული განათლება, დაძაბულ რეჟიმში მუშაობის უნარი, კარგი არითმეტიკული უნარ-ჩვევები, უცხო ენები, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, საოფისე პროგრამების ცოდნა.

სარეკლამო აგენტზე არსებული ვაკანსიების 16% პროფესიული განათლების სტანდარტებს აკმაყოფილებს.

ძირითადი საბაზრო მოთხოვნები:

მომხმარებელთან ეფექტური ურთიერთობა, სეხვედრის დანიშვნა, პროდუქციის შეთავაზება და რეალიზება, მომხმარებლის ბაზისშექმნა, პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა, არსებულ კლიენტთან კომუნიკაცია, ურთიერთობის შენარჩუნება, კომპანიის ვიზუალზე ზრუნვა, მათ შორის სოციალურ მედიაში,მომხმარებლის მოზიდვა, აქციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, გაყიდვების ზრდაზე ორიენტირებულობა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

პროფესიული განათლება, სამუშაო გამოცდილება (ზოგ შემთხვევებში) უცხო ენის ცოდნა, საოფისე პროგრამები.

საოფისე საქმეზე არსებული ვაკანსიების 12,4%-ს აკმაყოფილებს პროფესიული განათლების მქონე პირების პროფესიული შესაძლებლობები.

ძირითადი საბაზრო მოთხოვნები:

მაღალ რიტმში მუშაობის უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, შემოსული შეტყობინებების შესაბამის სამსახურთან გადამისამართება, სატელეფონო ზარებზე პასუხი, ინფორმაციის მიწოდება, დოკუმენტაციის წარმოება, ადმინისტრაციული დავალებების შესრულება, დროის ეფექტური მენეჯმენტი, ხელშეკრულების მომზადება, კორესპონდენციის წარმოება, საქმიანი შეხვედრების ორგანიზება, ყოველდღიური სამუშაოს დაგეგმვა, ორგანიზება, საქმისწარმოება, საოფისე მასალებისა და ინვენტარის მონიტორინგი, სხვადასხვა კომპანიებთან ურთიერთობა, მეილინგი.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

პროფესიული განათლება, სამუშაო გამოცდილება (ზოგ შემთხვევებში), უცხო ენის ცოდნა, საოფისე პროგრამები.

ბულალტერიაზე არსებული ვაკანსიების 17,9 % შეესაბამება პროფესიული განათლების მქონე პირების შრომით უნარებს.

ძირითადი საბაზრო მოთხოვნები:

პროგრამაში ყოველდღიური ინფორმაციის შეყვანა, დამუშავება პირველადი დოკუმენტაციის მომზადება, ყოველდღიური ბულალტერული გატარებების შესრულება, დაარქივება. ელ. ზედნადებებისა და ფაქტურების გამოწერა, მოთხოვნის გაგზავნა, დებეტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვა -კონტროლი, ყოველთვიური და წლიური დეკლარაციების მომზადება, საბანკო ოპერაციების ასახვა პროგრამაში და გადარიცხვების განხორციელება, საქონლის მიღება/აღრიცხვა. rs.ge-ზე მუშაობა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საბულალტრო პროგრამის ცოდნა, სამუშაო გამოცდილება(ზოგ შემთხვევებში), საოფისე პროგრამების ცოდნა, უცხო ენა, დროის მართვის უნარი.

საერთო დასკვნა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დადებულ სტატისტიკური ანალიზის დასკვნაში მითითებულია, რომ იგეგმება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში , რაც დადებითად იმოქმედებს შრომის ბაზრის საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე და გაზრდის პროფესიული განათლების მქონე მოქალაქეების დასაქმების მაჩვენებელს.

